44
ქ-33

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ ქაცანაშვილი

პრედიკატის სივრცე თანამედროვე ფრანგულ ენაში

სპეციალობა: 10.02.05 - რომანული ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2005

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო
ხელმძღვანელი: **ია ფხაკაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **ქეთევან ჯაში**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი (10.02.04)

ქეთევან გაბუნია
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი (10.02.07)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 8 დეკემბერს 14⁰⁰ საათზე ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის P. 10. 01. №1 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №45.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 4 ნოემბერს

-2025-

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი,

პროფესორი **ლ. გვასალია**

Библиотека
Тбилисского гос. педагогического и
иностранных я
им. И. Чавч

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. პრედიკატის სივრცის განხილვა გულისხმობს ამ სივრცის აგებას მასში მოქმედი ობიექტების ურთიერთმიმართების საფუძველზე. ტრანსფორმაციულ გრამატიკაში პრედიკატის სივრცე ტრანსფორმაციულ ციკლზე დაყრდნობით იქმნებოდა, თუმცა, ძირითადი ყურადღება სტრუქტურათა გარდაქმნის მექანიზმზე გადაიტანებოდა და სივრცე, როგორც მიმართებათა ბადე, არ აღიქმებოდა სტანდარტული თეორიის ვერსიებში. სინტაქსისა და სემანტიკის ურთიერთობის კვლევას მოჰყვა სისტემაში ახალ პარამეტრთა გაჩენა და შესაბამისად, არსებული ენობრივი დონეების ურთიერთკავშირის ახალი ფორმები. სინტაქსის სემანტიკასთან და საკომუნიკაციო დონესთან დაკავშირებას მიმართავდა რელაციური გრამატიკა, ხოლო სინტაქსისა და სემანტიკის სრულ გაერთიანებას – გენერაციული სემანტიკა.

ახალი სინტაქსური პარადიგმის გაჩენამ, რომელსაც დღეს სულ უფრო ხშირად უწოდებენ ახალ სინტაქსს, შესაძლებელი გახადა სისტემების შემადგენელ ნაწილთა გაერთიანება და ვრცელ სისტემათა აგება-ანალიზი. პრედიკატის სივრცე რთულ მიმართებათა ბადეს ჰქმნის. მისი ანალიზისათვის, ძლიერ ეფექტური აღმოჩნდა ახალი სინტაქსური თეორია, რომელიც მიმართებათა ქსელს სისტემის შემადგენელ ნაწილთა, მოდულთა ურთიერთმიმართებებში ასახავს.

პრედიკატსა და მასთან დაკავშირებულ კომპონენტთა კვლევას მრავალი საენათმეცნიერო გამოკვლევა მიეძღვნა, მაგრამ იგი, როგორც ურთიერთდამოკიდებულ მიმართებათა სივრცე, დღემდე არ გამხდარა ანალიზის საგანი.

კვლევის მიზანი და ამოცანები. თემის მიზანია პრედიკატის სივრცის აგება, მისი კომპონენტების გამოყოფა-დადგენა,